კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებასთან არსებულ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ინსცენირებული ლიტერატურული ღონისძიება სახელწოდებით “ვეფხისტყაოსანი” – სახარება სიყვარულისა... მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორიამხარეთმცოდნეობის წრის (ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი) მოსწავლეების მონაწილეობით დაიდგა ლამაზი, კოსტიუმირებული პატარა “სპექტაკლი,” უფრო სწორად, ლიტერატურული სანახაობა, რომელმაც ყველას მოწონება და ქება დაიმსახურა.

მოსწავლეთა სახლის პატარა დარბაზში შეკრებილ ბავშვებსა და მათ მშობლებს, ზორ დალაქიშვილი) გამოჩენას, რომელმაც მოწიწებითა და ქედის მოხრით (სცენარის მიხედვით ხომ ასეა) მიართვა მეფე თამარს (თამარ გოჭოშვილი) ხელიხელსაგოგმანები “ვეფხისტყაოსანი”, შესანიშნავად მოირგეს ლეგენდარული გმირების როლები ლუკა კორხელმა (ტარიელი), თემურ ირემაშვილმ (ავთანდილი), მიხეილ სამხარაძემ (ფრიდონი), რომლებსაც აფორიზმებითვე ესიტყვებოდნენ მარიამ კაციაშვილი (ნესტანდარეჯანი) და ქეთევან ჭალისური (თინათინი). აღმაფრთოვანებელი, შთამბეჭდავი იყო მოსწავლეების: მაია თაბუაშვილის, ანა ბაისონაშვილის, სალომე სამხარაძის, მარიამ და ლუკა მერებაშვილების, ლუკა სპანდერაშვილის, მარიამ და ლაშა თინიკაშვილების გამოსვლა, რომლებიც ზეპირად და უშეცდომოდ წარმოთქვამდნენ “ვეფხისტყაოსნის” გენიალურ აფორიზმებს.

– მოგეხსენებათ, ალბათ, რომ მარტივი არ არის “ვეფხისტყაოსნის” ტექსტზე მუშაობა, მითუმეტეს მოსწავლეებთან. თავიდან ვიფიქრე, გაუჭირდებოდათ ბავშვებს დროის მცირე მონაკვეთში

მოწვეულ სტუმრებს, პედაგოგებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სახლის დირექტორმა ლელა პეტრიაშვილმა. შემდეგ კი, სცენა დაეთმო პატარა მსახიობებს, რომლებმაც წამიერად, თამარისდროინდელ ეპოქაში “გადაინაცვლეს” და მაყურებლის თვალწინ გააცოცხლეს ქართველთა საუკუნეების წინანდელი ეპოქა... დარბაზი ოვაციებით შეხვდა სულმნათი მგოსნის შოთა რუსთაველის (ანაფორიზმების დაზეპირება, თანაც მხატვრულად წარმოთქმა, – განაცხადა პედაგოგმა ნანა მერებაშვილმა, – მაგრამ მათ ძალიან მოინდომეს, დიდი ინტერესი გამოიჩინეს, მარტო აფორიზმების დაზეპირება კი არ უნდოდათ, თქვენ წარმოიდგინეთ, მთელი ნაწარმოების შესწავლა სურდათ, არადა, ამ პროექტის მიზანიც ხომ სწორედ ეს იყო, რომ ბავშვები ჩაუღრმავდნენ, ძირფესვიანად გაეცნონ ამ გენიალურ ქმნილებას.

პოემა “ვეფხისტყაოსანი” იცოცხლებს მარად, როგორც უკვდავი ძეგლი საქართველოს ცხოვრებისა, როგორც სარკე რუსთველისდროინდელი ქართველების მსოფლმხედველობისა და ზნეობისა, როგორც კულტურულ მისწრაფებათა შთაგონების წყარო.

არტურ ლაისტი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი, მათ მადლობა გადაუხადეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მთელ პედაგოგიურ კოლექტივსა და ამ ღონისძიების ორგანიზატორებს საინტერესო პროექტის განხორციელებისათვის, ხოლო, მოსწავლეებს შარშან, წლის მანძილზე ჩატარებულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის სიგელები გადასცეს, გაწეული მუშაობისათვის პედაგოგებს მანანა ყაბანაშვილსა და ნანა მერებაშვილს სიგელები და

საჩუქრად წიგნები გადასცეს... მშობლების სახელით პედაგოგებსა და ღონისძიების ინიციატორებს მადლობა გადაუხადა მარი სულაშვილმა. ღონისძიების ბოლოს ბავშვებმა სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

თაფლი ყველაზე ჯანსაღ და უნივერსალურ პროდუქტად ითვლება

ძველ საბერძნეთში ათლეტები თაფლს მთელ ტანზე ისვამდნენ, რათა ძალ-ღონე მომატებოდათ. ის შეიცავს გლუკოზასა და ფრუქტოზას, რომლებიც ღვიძლში ცხოველური სახამებლის დაგროვებას იწვევენ. მართალია ერთი კოვზი თაფლის ენერგეტიკული ღირებულება 22 კილოკალორიაა, მაშინ, როცა ანალოგიური რაოდენობის შაქრისა – 15 კილოკალორიას არ აღემატება, მაინც თაფლი უფრო სასარგებლოა, ვიდრე შაქარი. თაფლი გლუკოზისა და ფრუქტოზის თანაბარი შემცველობის გამო ორგანიზმში მოხვედრისთანავე ტვინს კვებავს. ძილის წინ მიღებული 1 ჩაის კოვზი თაფლი ადამიანის ამ ორგანოს ღამის განმავლობაში დასვენების საშუალებას აძლევს.

ფრუქტოზა ღვიძლში ლაგდება და ელოდება დროს, როდესაც ტვინის გამოკვება გახდება საჭირო. ის ხომ ღამითაც განაგრძობს მუშაობას, ამიტომ ენერგიაც სჭირდება.

ჰიპოკრატე თაფლს ყოველდღე მიირთმევდა. ამავე პროდუქტით მკურნალობდა სიფილისს, წყლულებს. თაფლი აძლიერებს იმუნური სისტემის დაცვით ფუნქციას.

მას ანტიბაქტერიული მოქმედება აქვს, ორგანიზმს ჭრილობების შეხორცებასა და ინფექციასთან ბრძოლაში ეხმარება. რამდენიმე წლის წინ დაადგინეს, რომ თაფლი რეზისტენტული მიკროორგანიზმებით გამოწვეულ ინფექციებსაც ებრძვის, რის შემდეგაც მას ოფიციალურად მიეკუთვნა სუპერპროდუქტის სახელი.

ექსპერტები გვირჩევენ, რომ თაფლი ჰერპესის, პაროდონტის დაავადებების, კიდურების ინფიცირებული წყლულების, ფსორიაზის, ეგზემისა და ართრიტების სამკურნალოდ გამოვიყენოთ.

პენსილვანიის შტატის სამედიცინო კოლეჯის მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ერთი კოვზი თაფლი გაციების საწინააღმდეგო ნებისმიერ მედიკამენტზე შედეგიანია. თაფლი ასევე უხდება იმუნოდეფიციტს (დაღლილობა, ხშირი გაციება, ინფექციები, ალერგია). ეს პროდუქტი შეიცავს ვიტამინებს, მინერალებს, ამინომჟავებს, ბიოფლავონოიდებს. დაბოლოს, ის სასარგებლოა საჭმლის მონელების დარღვევის დროსაც, რადგანაც თაფლი საჭირო ბაქტერიებსაც შეიცავს.



ძიუდო

კაციაშვილი მეორე დონეზეც პირველია!

საქართველოს ჭაბუკმა ფალავანმა, გიორგი კაციაშვილმა შარშანდელი სპორტული სეზონის ყველაზე ხმაურიანი გამარჯვებით გასტუმრების შემდეგ წლევანდელიც წარმატებით დაიწყო: თებერვლის დასაწყისში გაიმარჯვა საქართველოს პირველობის მეორე დონის შეჯიბრებაში.

მავანი გულშემატკივარი რომ არ დავაბნიოთ, აქვე განვმარტავთ: 2016 წლის საქართველოს პირველობაზე, სადაც ყველა ძლიერი ძიუდოისტი გამოდიოდა, ჩვენებური სამეულში ვერ ვიხილეთ. მის მსგავსად, ცხადია, სხვა პერსპექტიული მოჭიდავენიც აღმოჩნდნენ, ვინც ვერ გაპრიზიორდა. ამიტომ ფედერაციის მესვეურებმა და ნაკრების თავკაცებმა გადაწყვიტეს, კონკურენციის დონის შესანარჩუნებლად, შანსი ყველასათვის კვლავ მიეცათ და წლევანდელი პირველი შიდა შეჯიბრება მეორე დონედ დასახეს: ყველა წონაში პრიზიორთა სამეულებს დაუმატეს 4 - 4 ყველაზე რეალური კანდიდატი და, ამგვარად, ახალმა შვიდეულებმა ერთმანეთში ურთიერთობა განმეორებით გაარკვიეს. ეს ყველასათვის იყო ახალი სტიმული, ახალი შანსი!

მისასალმებელია, რომ ჩვენი მწვრთნელები სამომავლო პერსპექტივას სახავენ და შორს იხედებიან (ორიენტირი 2020 წლის იაპონიაში გასამართავი ოლიმპიადაა). მათ სურთ, საქართველოში განავითარონ საკლუბო ძიუდო, ჩაატარონ პირველობები და სწორედ აღნიშნული შეჯიბრების შედეგებით შეიქმნება 7 საკლუბო ნაკრები. ეს კი ნიშნავს, რომ ნაკრების ძირითადი წევრებიც შეინარჩუნებენ სპორტულ ფორმას და უსტიმულოდ არც სხვები დარჩებიან.

ახლა, როცა სათებერვლო პირველობის არსი გავარკვიეთ, დავუბრუნდეთ მასში გიორგი კაციაშვილის გამოსვლის ამბავს:

ქვეყნის ახალგამომცხვარ ჭაბუკ ფალავანს როგორც შეეფერებოდა, მან ტატამზე თავი იმგვარად გამოიჩინა: ხუთივე მეტოქესთან იუპირატესა, იოტისოდენა შანსი არც ერთს არ დაუნარჩუნა და თავისი გამარჯვება სათუო და საორჭოფო არ გაუხდია, მათ ძლევას, საერთო ჯამში, მცირე დრო მოანდომა – სულ ორიოდე წუთი (ეს მაშინ, როცა შარშანდელი ბრაზილიური ოლიმპიადის შემდეგ, ძიუდოში, შეჯიბრების ახალი წესების თანახმად, შეხვედრათა ხანგრძლივობა 6 წუთიდან 4-მდე შემცირდა)!

პაპინაშვილი კვლავ ტაკატოს წინააღმდეგ

ქართველი ამირან პაპინაშვილისა და იაპონელი ნაოჰისა ტაკატოს დაჭიდების ამბავი, 2016 წლის აგვისტოში, ბრაზილიის დედაქალაქში რომ გაიმართა საზაფხულო ოლიმპიადაზე, ბევრს კარგად ახსოვს: საქართველოს ნაკრების ყველა წევრმა თავიანთი პირადი შეხვედრები იაპონელებთან დათმო, აი, ამირანმა კი დაამარცხა პრინციპული მეტოქე. და, მაინც, შემდგომ ეტაპზე ჩვენებურს ხელი მოეცარა და უმეტლოდ დარჩა, ტაკატოს ყისმათმა მაინც გაუღიმა და რიო-დე-ჟანეიროდან ბრინჯაო წაიღო ...

ლამის ნახევარი წლის წინანდელი მათი მეტოქეობა იმიტომ გავიხსენეთ, რომ ესენი, როგორც ჩანს, ერთმანეთს კრიჭაში დიდხანს ედგომებიან და არც ერთი იტყვის უარს, თუ მათი დაპირისპირების პიკი იაპონელის ქვეყანაში უწევს 2020 წლისათვის, მანამდე კი...

მანამდე პაპინაშვილ-ტაკატოს დუეტის დუელს ძიუდოს ტატამზე არაერთხელ ვიხილავთ, თანაც, სხვადასხვა ქვეყანაში.

აი, 11-12 თებერვალს, ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ საფრანგეთის დედაქალაქში – პარიზის "დიდი მუზარადის" გათამაშებაში. ქართველს შემართება და მონდომება არ დაუკლია "მზის ამომავალი ქვეყნის" წარმომადგენელთან მეტოქეობაში, მაგრამ ტაკატოს ბარიერი ამ ჯერზე ვეღარ გაარღვია და, ხუთი შეხვედრიდან ამ ერთში მარცხმა, მხოლოდ ბრინჯაოს მედლამდე და პარიზული კვარცხლბეკის მესამე საფეხურამდე მიიყვანა.

... ამირანი 24-26 თებერვალს ქ. დიუსელდორფის (გერმანია) "დიდ მუზარადზე" იჭიდავებს თუ არა, მწვრთნელების გადასაწყვეტია. მერე, საგაზაფხულოდ, ევროპის ჩემპიონატი მოელის (აი, ტაკატო იქ ნამდვილად არ იქნება!). წელსვე მსოფლიო პირველობაც მოჩანს ჰორიზონტზე... ასეა, წინ ახალი სპორტული სეზონის სრული ციკლია.

სამბო

ბელარუსის პრეზიდენტის თასები ქართველი მძიმეწონოსნებისთვის მსუბუქი აღმოჩნდა

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო, ევროპის ქვეყნების პირველკაცთა შორის, ერთ-ერთი არაორდინარული და ძლიერი მმართველია, ქვეყნის მესაჭეობაში საკუთარი პრინციპები გააჩნია და ევროპისა თუ რუსეთის "დაკრულზე" სულაც არ ცეკვავს... როგორც ჩანს, თავისი ქვეყნის სიძლიერეს "ბატკა" სპორტის განვითარებაშიც ხედავს. მაგალითად, დიდ პატივს სცემს სამბოელებს და ბელარუსი "მუჟიკებისათვის" საკუთარი სახელობითი თასებიც კი დააწესა, – აგერ, ჯილდოები! აგერ, თქვენ და, აბა, იცოდეთ, სხვატომელებს არ დაანებოთო!

მაგრამ, ის, რაც შუა თებერვალში ბელარუსის დედაქალაქ მინსკში მოხდა, ძნელად რომ მასპინძლებს წარმოედგინათ. არადა, ქართველი ამირანის მოდგმის ვაჟკაცებმა ამბიციური ლუკაშენკოცა და იქაური სპორტის სპეციალისტებიც რეალური ფაქტის წინაშე დააყენეს: ავთანდილ ცინცაძის საპრეზიდენტო (ეს ჩვენი ფედერაციის თავკაცია) სამწყსოს წარგზავნილები მეტოქეებზე მთელი თავით მაღალი აღმოჩნდნენ და ორ წონით კატეგორიაში (100-კილოგრამიანებში და მძიმე წონაში) სულაც "ქართული ფინალები" გამართეს, თითქოს თბილისიდან მინსკში ჭკვიანი რეჟისორის მიერ დადგმული სპექტაკლები ჩაეტანოთ ევროპული პუბლიკისათვის.

... ესოდენი საქებარი სიტყვისათვის იმან გვიბიძგა, რომ ქართული სამბოური დესანტის წარმატებაში ჩვენებურმაც დაიდო წილი: მძიმეწონოსანთა ფინალში ბექა ბერძენიშვილმა სძლია თავისივე უშუალო და პრინციპულ მეტოქეს – გიორგი ზაქარიაძეს და ბელარუსული თასის დაპატრონებით გზა გაიხსნა საევროპო პირველობისათვის, რომელიც სულ მალე გაიმართება.

აქვე შეგახსენებთ, რომ ბექა ბერძენიშვილმა 2016 წლის თებერვალში სწორედ მინსკში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე მე-3 ადგილი დაიკავა, წლისთავზე კი, ამჯერად, ღირსეულად გაჩემპიონდა.

და, კიდევ, იგი გახლავთ 2016 წლის ევროპის ჩემპიონი, რასაც მაისში ქ. ყაზანში (რუსეთი) მიაღწია. ამდენად, იგი ახალი გამოწვევის წინაშე დგას, ჩემპიონის ტიტული უნდა დაიცვას.

ჩვენ გვეიმედება, ბერძენიშვილო – შენ?!

ფეხბურთი

ზამთრის ბოლო თვე – მოსამზადებელი პერიოდი

კასპის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დირექტორმა, ზაზა ჯალალმა ჩვენთან სატელეფონო საუბარში ხაზი გაუსვა, რომ აქაური მწვრთნელები და აღსაზრდელები ზამთრის თვეებს მეტ-ნაკლები დატვირთვით იყენებენ ახალი საფეხბურთო სეზონის შესახვედრად. იმის გამო, რომ ქართული ფეხბურთი კვლავ დაუბრუნდა "გაზაფხული-შემოდგომის გათამაშების" სისტემას და აკი ამიტომ შარშან "გარდამავალი ჩემპიონატი" გაიმართა, ახალი სეზონის სტარტი მარტში იგეგმება, საქართველოს რეგიონულ პირველობებზე სკოლა რამდენი გუნდით გამოვა, ჯერ დასადგენია, ისევე, როგორც ბევრი სტრუქტურული საკითხი განხილვის პროცესშია.

სკოლის ახალგაზრდა დირექტორმა, რომელმაც წარმატებული მწვრთნელის სტატუსი შარშან "მშვიდობის თასზე" თავისი გუნდის გაჩემპიონებით დაადასტურა, ისიც განაცხადა, რომ ამავე თასისათვის სკოლის ბავშვები უკვე ორი გუნდით ასპარეზობენ: ათწლიანებსა და თორმეტწლიანებს შორის. ეს გათამაშება მარტში დასრულდება.

ამასთან, სკოლის რამდენიმე პერსპექტიული ჭაბუკი ოსტატთა გუნდებში არის მიწვეული ე.წ. "სინჯებზე".

დანიშვნა

გორის "დილას" გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტად ინიშნება წარმატებული კასპელი ფეხბურთელი 37 წლის გიორგი გაბიდაური.

ძალოსნობა

დარბაზი არის ... შტანგისტები დაიზრდებიან

ქართველმა ძალოსანმა, კახი კახიაშვილმა, სასახელო ფურცელი ჩაწერა მსოფლიო ოლიმპიზმის ისტორიაში. იგი 3-გზის ოლიმპიური ჩემპიონია (ორჯერ – საბერძნეთის სახელით). გამოჩენილი სპორტსმენი დღეს სათავეში უდგას საქართველოს ძალოსნობის ეროვნულ ფედერაციას.

ამიერიდან ჩვენს ქალაქს ნამდვილად არ მოაკლდება მისი ყურადღება და თანადგომა. საქმე ისაა, რომ კასპში ახლახან დამთავრებულ სპორტულ კომპლექსში ძალოსნობის დარბაზიც შედის და მან, ჯერაც მშენებლობის პროცესში რამდენჯერმე მოინახულა, მერე კი, დასრულებისთანავე, მცირე დარბაზისათვის აუცილებელი ინვენტარით ხელდამშვენებული ჩამობრძანდა კასპში. მეტიც, კომპლექსის ოფიციალურად საზეიმო გახსნას არ დაელოდა და დედაქალაქიდან ჩამობრძანებული სტუმრებისა (თვით სპორტის მინისტრის დონეზე) და ჟურნალისტების თანხლებით საქვეყნოდ დააანონსა ძალოსნობის დარბაზის ამოქმედება.

დიახ, სასიამოვნო ფაქტია: ძალისმიერი სპორტით გატაცებულ კასპელ ახალგაზრდებს სათანადო პირობები გაუჩნდათ. იქ შტანგისტების გარდა ათლეტიზმის მიმდევრებიც იმეცადინებენ. მწვრთნელი და შტანგისტები უკვე გამოჩნდნენ. ახალბედა მწვრთნელი, გია მერებაშვილი და მისი 15 შეგირდი ენთუზიაზმითა და მონდომებით ვარჯიშობენ... აქ პირველი შეჯიბრება, უთუოდ, კახი კახიაშვილის სახელობის თასზე ჩატარდება, რასაც დიდი ჩემპიონი პირადად დაესწრება.

ძველი და ახალი სახელები

* სამბისტმა კახა მამულაშვილმა მესამე ადგილი დაიკავა საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც ბელარუსის დედაქალაქში გაიმართა (74 კგ.).

* საქართველოს ძიუდოისტთა მეორე დონის ჩემპიონატში ჩემპიონობა მოიპოვა ბექა მიქუტიშვილმა (90 კგ.), ხოლო მესამე ადგილზე გავიდა გიგა ბერიაშვილი (66 კგ.).

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

ლამარა მასწავლებელი იუბილარია

მასწავლებლობა გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, მას შემდეგ მოყოლებული მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება წინარეხელი ლამარა მერებაშვილი. მხცოვანი (80 წლის იუბილე 5 თებერვალს აღნიშნეს მისმა ახლობლებმა და თანამოაზრეებმა) პედაგოგი ჩვეული შემართებითა და ხალისით აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას და საიუბილეო მილოცვებსაც იღებს საყვარელი მოსწავლეებისაგან, აღზრდილებისაგან... მარტო მის სოფელში კი არა, რაიონშიც კარგი სახელით იცნობენ წინარეხის საჯარო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელს ლამარა მერებაშვილს, რომელმაც სანიმუშო ოჯახითა და ღირსეული შვილებითაც გაითქვა სახელი. დიდი გამოცდილებისა და მრავლის მნახველი ქალბატონი უშურველად უზიარებს წლების განმავლობაში მიღებულ ცოდნას კოლეგებს, განსაკუთრებით კი, დამწყებ მასწავლებლებს. ყველა პატივს სცემს ლამარა მასწავლებელს, სიყვარულითა და სითბოთი იხსენებენ აღზრდილები...

უვიზო რეჟიმი ვრცელდება შენგენის ზონაზე

საქართველოს მოქალაქეებს შეეძლებათ შენგენის ზონაში მოკლევადიანი ვიზიტით უვიზოდ იმოგზაურონ. საბოლოოდ ძალაში შესვლამდე, კანონმდებლობა ჯერ კიდევ საჭიროებს ევროკავშირის საბჭოს მიერ ოფიციალურად დამტკიცებას და ძალაში შევა უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ამოქმედების შემდეგ.

შეჩერების მექანიზმი ითვალისწინებს სავიზო რეჟიმის დროებით აღდგენას მიგრაციის მკვეთრი ზრდის ან საზოგადოებისთვის საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში.

აღნიშნულ საკითხზე ევროპარლამენტის მომხსენებელმა, მარია გაბრიელმა (ევროპის სახალხო პარტია, ბულგარეთი), აღიარა უვიზო რეჟიმის მისაღებად საქართველოს მიერ გატარებული "ვრცელი და კომპლექსური რეფორმები." მან მადლობა გადაუხადა ქვეყნის ხელისუფლებას და მოქალაქეებს სიმტკიცისა და მოთმინებისთვის. აგრეთვე ხაზი გაუსვა დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულებას და აღნიშნა, რომ უვიზო რეჟიმის შემოღება ქვეყანას კიდევ უფრო აახლოებს ევროკავშირთან.

პლენარულ სხდომაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 553 ხმით 66-ის წინააღმდეგ, ხოლო 28-მ თავი შეიკავა. შესაბამისად, ბიომეტრიული პასპორტის მქონე საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ ევროკავშირში უვიზოდ მოგზაურობას 90 დღით ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში, საქმიანი, ტურისტული ან ოჯახის მონახულების მიზნით, თუმცა არა სამუშაოდ.

ტექსტში ნახსენებია, რომ თბილისმა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის გეგმით გათვალისწინებული ყველა ნიშნული შეასრულა. აგრეთვე, ხაზგასმითაა ნათქვამი: "ევროკომისია ჯეროვან მეთვალყურეობას გაუწევს საქართველოს მიერ მსგავსი კრიტერიუმების მუდმივად შესრულებას, მათ შორის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით".

უვიზო რეჟიმი ვრცელდება შენგენის ზონაზე, ევროკავშირის 22 ქვეყანაზე (გარდა ირლანდიისა, გაერთიანებული სამეფოს, ხორვატიის, კვიპროსის, რუმინეთის და ბულგარეთისა) და ამასთანავე, ისლანდიის, ლიხტენშტაინის, ნორვეგიისა და შვეიცარიის ტერიტორიებზე.

საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის შესახებ რეგულაციას ევროპარლამენტმა კენჭი უყარა. ამ ისტორიული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ვარაუდობენ, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის მარტის ბოლოდან შენგენის ზონაში უვიზოდ გადაადგილება შესაძლებელი იქნება.

საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ უვიზოდ იმოგზაურონ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედების შემდგომ. უვიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას:

წევრი ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი.

არაწევრი ქვეყნები: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია;

კანდიდატი ქვეყნები: ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია;

გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის 2 წევრი ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი და ირლანდია. ამ ქვეყნების ვიზის მისაღებად საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიმართონ შესაბამის საკონსულო სამსახურებს.

უვიზო რეჟიმი შესაძლებლობას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს ვიზის გარეშე განახორციელონ მხოლოდ მოკლევადიანი ვიზიტები; მოკლევადიანი ვიზიტი გულისხმობს 90 დღეს ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში;

ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში 90 დღის პერიოდით ყოფნის შემდეგ საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს ამ ქვეყნის ტერიტორია. ევროკავშირის/შენგენის სივრცეში მომდევნო შესვლა შესაძლებელია მომდევნო 90 დღის (ჯამში 180 დღე) პერიოდის გასვლის შემდეგ;

მოკლევადიანი ვიზიტი შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიზნით: ტურისტული, ოჯახის წევრების/ახლობლების მონახულება, ბიზნეს-შეხვედრები, მოკლევადიანი სასწავლო და გაცვლითი პროგრამები/ტრეინინგი, კურსები, კულტურულ ან სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, მკურნალობა და სხვა. ნებისმიერი ასეთი ვიზიტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს; უვიზო რეჟიმი არ შეეხება ევროკავშირის/შენგენის წევრ სახელმწიფოებში გრძელვადიან ვიზიტებს განათლების მიღების, მუშაობის ან სხვა მიზნით;

ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ხანგრძლივი პერიოდით დარჩენის სურვილის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიმართონ საქართველოში აკრედიტებულ შესაბამისი ქვეყნის საკონსულოს ვიზის მისაღებად.

საქართველოს მოქალაქეები ვალდებულნი არიან დაიცვან:

შენგენის ქვეყნების ტერიტორიაზე არსებული შესვლისა და ყოფნის წესები (შენგენის ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს ნებისმიერი 180 დღიანი პერიოდის განმავლობაში); ადგილობრივი კანონმდებლობა, საავტომობილო მოძრაობის წესები და საზოგადოებრივი წესრიგი;

ნებადართული ყოფნის პერიოდში სხვა სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში საქართველოს მოქალაქე დაექვემდებარება დეპორტაციას (გაძევება) ან/და დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რასაც ყოველთვის მოსდევს ქვეყანაში შესვლის აკრძალვა 5 წლამდე პერიოდით.

რა უნდა ვიცოდეთ უვიზო მიმოსვლით სარგებლობის შესახებ: ვიზალიბერალიზაციის მინიჭების შედეგი გულისხმობს შენგენის წევრ ქვეყნებში ვიზის გარეშე მიმოსვლას. ასეთი სულ 22 ქვეყანაა, რა თქმა უნდა, უვიზო მიმოსვლა არ გულისხმობს ევროპაში სამუშაოდ წასვლას, უქმდება მხოლოდ მოკლევადიანი ვიზები, რაც მოგზაურობის, საქმიანი შეხვედრების, მკურნალობის და ოჯახის მონახულების საშუალებას იძლევა. ვადა განისაზღვრება 180-დან 90 დღით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საშუალებას იძლევა ბევრად უფრო ადრე და შესაბამისად იაფად შეიძინოთ ავიაბილეთი, რადგან დარწმუნებული იქნებით, რომ შეძლებთ საზღვრის გადაკვეთას. ევროპაში წასასვლელად საკონსულოში შესვლა საჭირო აღარ იქნება, თუმცა მაინც არსებობს, საჭირო დოკუმენტები, რომლებიც საბაჟოზე უნდა წარმოადგინოთ, ესენია : უკან დასაბრუნებელი ბილეთის ჯავშანი, სამოგზაურო დაზღვევა, ფინანსური უზრუნველყოფის დოკუმენტი, მკურნალობისთვის, ახლობლის მონახულებისთვის ან კონფერენციაში მონაწილეობის შემთხვევაში კი ოფიციალური მიწვევა და მიწვევის კოორდინატები.

მებაჟეს, უფლება აქვს, ეჭვის შეტანის შემთხვევაში, მოქალაქე საზღვარზე არ გაატაროს, თუმცა, ეს უფლება მას ვიზის ქონის შემთხვევაშიც აქვს.

უვიზო მიმოსვლის საკითხის დროში გაწელვის მიზეზი გახდა ის, რომ ევროკავშირის ქვეყნები ვერ თანხმდებოდნენ ე.წ. შეჩერების მექანიზმი რა ვადით უნდა ამოქმედებულიყო. შეჩერების მექანიზმი გულისხმობს, რომ თუ საქართველო შეთანხმების რამდენიმე პუნქტს დაარღვევს, ევროკავშირი უვიზო მიმოსვლას 9 თვით შეაჩერებს. თუ მაგალითად, საქართველოდან შენგენის ზონის ქვეყნებში არალეგალურად მყოფი ქართველების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუ მოიმატებს თავშესაფრის უსაფუძვლოდ მომთხოვნ პირთა რაოდენობა, ან საქართველო ვალდებულებების შესრულებაზე უარს განაცხადებს, უვიზო მიმოსვლა შეჩერდება. საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ მთლიანი პროცედურის დასრულება უმოკლეს დროში მოხდება. იგი აღნიშნავს, რომ საქართველომ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა პირობა შეასრულა. ამ პროცესს დადებითად აფასებენ მთავრობაში იმ მხრივაც, რომ იგი შეეხება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას.

სიახლე

რა უნდა იცოდნენ საქართველოს მოქალაქეებმა უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედების შემდეგ

მილოცვა

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული კასპის სამუსიკო სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს ქალბატონ მანანა სოზიაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით ცხოვრებას.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

მილოცვა

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ქართული ენისა და ლიტერატურის წრის ხელმძღვანელს ქალბატონ მანანა ყაბანაშვილს ვულოცავთ დაბადებიდან 70 წლის იუბილეს და ვუსურვებთ დიდ პირად პედნიერებასა და შემოქმედებით წარმატებებს.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაცია ულოცავს კასპის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის პედაგოგს ქალბატონ მანანა სოზიაშვილს დაბადებისა და პედაგოგიური მოღვაწეობის საიუბილეო თარიღებს, უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ჩვეული ენერგიით კიდევ მრავალ წელს ემოღვაწოს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

სპმთპ-ს კასპის რაიონული საბჭო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაცია ულოცავს კასპის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ქალბატონ მანანა ყაბანაშვილს დაბადების საიუბილეო თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას და ჩვეული შემართებით კიდევ მრავალ წელს ემოღვაწოს საყვარელი მოსწავლეებისათვის.

სპმთპ-ს კასპის რაიონული საბჭო.

განცხადება

2017 წლის 18 აპრილს, 14 საათზე ქ. კასპში, გ. საკაძის ქ. №40-ში გაიმართება შპს "ეკო ენერგია"-ს დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის - რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების აღდგენის (გადამამუშავებელი) საწარმოს, რომელიც მდებარეობს მისამართზე: კასპის რაიონი, სადგური მეტეხი, ს.კ. 67.12.43.033, გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს - რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების გადამუშავება და მისგან ორგანული საწვავის მიღება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

ქ. კასპი, გ. საკაძის ქ. №40 და საწარმოს ტერიტორიაზე.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: 579 63 63 03; 555 24 27 25 ოთარ ჭეიშვილი.

ადმინისტრაცია შპს "ეკო ენერგია"

ფოტო მესიჯნე

,,ახალი გვნთიავლი,, იძიებს ცალიერ ფურცელს ცოცხალ ადამიანს ცალგვზეთ ფოტომესიჯნის შეცვლილ ნელოვლ. თხოვნით მივმართავთ თანამოქალაქეებს - ლაფოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მესიჯნეში! გამოგვიგზავნეთ ცალიერ ლა ცალიალ ფოტოები!

გაზეთ "ახალი განთიადის" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქირურგი ვახტანგ (ბიჭი) გუჯაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გოჩა გოჩიტაშვილი ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვახტანგ (ბიჭი) გუჯაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნანა მერებაშვილი ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვახტანგ (ბიჭი) გუჯაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი საკაკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76